ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ კახი კალაძეს

ასლი: ს.ს.ი.პ. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის

არქიტექტურის სამსახურის უფროსს

ბატონ **თეიმურაზ ბოლოთაშვილს**

ასლი: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის

უფროსს **ბატონ გიორგი ბაგრატიონს**

ბატონო კახი,

გაცნობებთ, რომ უკვე მესამედ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში შესულია,დავით მახარაშვილის, 2018 წლის 21 თებერვლის #AR1579111 განცხადება,მიწის საკადასტრო კოდ 01.14.03.039.063 ზე კანონდარღვევებით აშენებული საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დადასტურების მოთხოვნით, ანუ იგი ითხოვს მის ექსპლუატაციაში მიღებას,აღნიშნული მოთხოვნის დაკანონება იქნება მორიგი უკანონობა, შემდეგი უტყუარი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობის გამო,კერძოდ:

1.დავით მახარაშვილი ,,განმართებით ბარათში" მიუთითებს, რომ ,,შენობის -3,88 და -0,98 ნიშნულებზე განთავსებულია ავტოფარეხი" აღნიშნული სიცრუეა რადგან,შენობის 0,98 ნიშნულზე მოწყობილია ოფისი და იქ არ არის პარკინგში შესასვლელი კარი, რაზეც გაუწყეთ შესაბამისი ფოტო-მასალით,ხსენებული ტერიტორიაზე განსათავსებელი ა/მანქანები პარკირების ტერიტორიის ნაცვლად პარკირდებიან, კორპუსის მიმდებარე,შედეგად პერიმეტრზე და ჩვენ არ გვეძლევა საკუთარ საცხოვრებელ კორპუსამდე მანქანით და ფეხით მისვლის შესაძლებლობაც კი,შედეგად გვადგება პირდაპირი და უშუალო ზიანი;

2. შენობის ,,-3,88 ნიშნულზე" ჩვენი კატეგორიული მოთხოვნით დემონტაჟი ჩაუტარდა 29 %-იანი დახრის მქონე პანდუსს (რათა იქ განთავსებულიყო ა/მანქანები) და მის ნაცვლად ნამდვილად მოწყობილია 18%-იანი დახრის მქონე პანდუსი, მაგრამ ამჯერადაც მისი მოწყობა განხორციელდა არა მართებულად და უკანონოდ,კერძოდ ჭრილი ,,3-3"- ის ,,გ" ღერძზე ნაცვლად ნახაზზე დატანილი პანდუსის საწყისის რიგელზე მოწყობისა, იგი ფაქტიურად მოეწყო რიგელის ქვედა დონეზე ,ამიტომ პანდუსის ძირიდან მოპირდაპირე კედლამდე ფაქტიური მანძილია 3,7მ,ნაცვლად დანართში მითითებული 5,19-ისა,რაზეც გაუწყეთ შესაბამისი ფოტო-მასალით,ამრიგად აღნიშნულ მანძილში ა/მანქანის შესვლა და მობრუნება არის შეუძლებელი,ამიტომ ხსენებული ტერიტორიაზე განსათავსებელი ა/მანქანები პარკირების ტერიტორიის ნაცვლად პარკირდებიან კორპუსის მიმდებარე პერიმეტრზე და ჩვენ არ გვეძლევა

საკუთარ საცხოვრებელ კორპუსამდე მისასვლელ და ჩვენი ბინის ღირებულებას,რითაც გვადგება პირდაპირი და უშუალი ზიანი;

3. „ი-ა" ფსადის მხარეს სამანქანო პანდუსის ნაწილი და დამატებით მოწყობილი მცირე ზომის კაპიტალური კედელი სცდება საკადასტრო საზღვარს.იგი ასევე დაგვიდასტურა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა, 2017 წლის 08 ივლისის # ბ-19/01171702026-17 ბრძანებით;

4. თავხელიძის 1-ში განთავსებული კორპუსის მაცხოვრებლები კატეგორიული წინააღმდეგნი არიან მის ეზოში გამავალი ღიობი შეივსოს ფანჯრებით, რადგან პროექტით გათვალისწინებულია მხოლოდ მინა-ბლოკის მოწყობა;

5. არსად არ არის მოწყობილი,საცხოვრებელ კორპუსში შესასვლელი კანონით გათვალისწინებული შშმპ-ის პანდუსი, რაც გაუწყეთ ფოტო-მასალით;

6. კორპუსზე,პროექტით გათალისწინებული სათანადო რაოდენობით არ არის მოწყობილი წვიმმიღები მილები და ძაბრები, რაც აზიანებს საავტომობილო გზას,აზიანებს კორპუსის საძირკველს და წვიმისას გაუვალს ხდის მას;

7.შელესილი კედლები აბსოლიტურად დაბინძურებული,კოროზირებული და ნაწილი ჩამოშლილია,იგი აბინძურებს გარშემო არსებულ გარემოს;

8.კორპუსსა და ეკლესიას შორის მოწყობილი გზის ფაქტიური განია 5,17მ,ხოლო კანონით ლ.სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნათ გათალისწინებულია 8მ,მათ შორის; 2 მ საფეხმავლო ბილიკი,რომელიც საერთოდ არ არის მოწყობილი;

9.გაურკვეველია,ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის, 2017 წლის 11 დეკემბრის # 19/01172912639-17 და 2018 წლის 19 თებერვლის # 19/01180361114-17 წერილების ადრესატი, რომელია ან ვინაა ბატონი დავითი??;

10. გასაკვირია თუ როდიდან გახდა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური,საკადასტრო რუკის შენდგენელი,რომელიც წინააღმდეგობაშია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემულ დოკუმენტებთან და საკუთარ ბრძანებასთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სახეზეა, სახელმწიფოსა და ჩვენზე მოყენებული პირდაპირი, უშუალო და ერთმნიშვნელოვნათ მძიმე ზიანი და დაკანონებული პროექტის დარღვევით მიმდინარე მშენებლობა. შესაბამისად დანაშაულებრივი ქმედებით, ჩვენ მოგვადგა უმნიშვნელოვანესი ზიანი,ჩვენი კორპუსები პრაქტიკულად არის გაუვალი, განვიცდით მზის სინათლის ნაკლებობას,ანტისანიტარიასა და უჰაერობას, შესაბამისად გთხოვთ, განახორციელოთ კანონშესაბამისი მოქმედებები,მიიღოთ ადექვატური გადაწვეტილებები და გვაცნობოთ შედეგები.

შესაბამისად გთხოვთ, ადგილზე გასვლით გადაამოწმოთ წინამდებარე წერილში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებების უტყუარობა, გასცეთ შესაბამისი მითითებები, დაიწყეთ ან/და განაახლეთ ადმინისტრაციული საქმეების წარმოება,სამშენებლო სამართალდამრღვევებს დაარიცხოთ ბიუჯეტის კუთვნილი თანხების გადახდა, ჩაგვრთეთ მხარედ და გვაცნობეთ შედეგები.

p.s. ხსენებულ ობიექტებზე როგორც გაუწყებდით, გამუდმებით მიმდინარეობს სარევიზიო საკონტროლო აზომვითი სამუშაოები და სამართალდარღვევების ფიქსაცია, შედეგები პერმანენტულად გეცნობებათ თქვენ და მათ კომპლექსურ ერთობლიობას წარვუდგენთ ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილი წესით

პატივისცემით, ზურაბ გეიტრიშვილი

(პ/ნ 01024031682)

„25" თებერვლი, 2018 წელი.

მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 78 ბინა #14 ს/ტ: 577 575704.

ქ.თბილისი დ.თვხელიძის ქ#1ა ბინა #118 ს/ტ: 577 575704.